საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდაზე რეგისტრაცია დასრულდა

2024 წლის 19 თებერვლიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდები იწყება.

საგამოცდო ცენტრები საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს და მოქალაქეებს გამოცდის ჩასაბარებლად შერჩეულ ლოკაციებზე მომსახურებას სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული გამოცდის სამდივნოების წევრები გაუწევენ.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 2490-მა მოქალაქემ დააფიქსირა, რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 73%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდება და ნათარგმნი საგამოცდო ტესტები უცვლელი ფორმით გამოიყენება სერტიფიცირების პროცესში.

ტესტები ხელმისაწვდომია ბმულებზე:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები (ARM)
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები (AZR)

საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - 8 დამკვირვებლით.

გამოცდის ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ:

გამოსაცდელი სერტიფიცირების გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული საგამოცდო ცენტრის მიხედვით, საგამოცდო თარიღისა და დროის დაცვით.

საგამოცდო დარბაზში დაშვების პროცედურის გავლის მიზნებისთვის, მოქალაქე საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება: საგამოცდო დარბაზის დატოვება; ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება; გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება.

გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, დაგვიანებით გამოცხადდება, ან გამოცდის მიმდინარეობისას დაარღვევს დადგენილ წესებს მოიხსნება გამოცდიდან.

სერტიფიცირების გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 15 ქულა. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით.

სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 032 2 61 21 11

2024 წლის თებერვალში გასამართი სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	ქ. თელავი, დავითაშვილის N2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	194
2	ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის N68 (N23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	600	516
3	ქ. მარნეული, რუსთაველის N69 (N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	800	640
4	ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის N36 (N21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	173
5	ქ. თეთრიწყარო, ჭავჭავაძის ქ. N2 (N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	163
6	ქ. ახალციხე, კეცხოველის N6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	80	45
7	ქ. ახალქალაქი, ჯავახიშვილის N2 (N40 ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	500	459
8	ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების N23 (N41 ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	300